საერთო თემა:
ყოვლისმომცველი, ვრცელი ქრისტე ცვლის კულტურას
ერთი ახალი კაცისათვის

შეტყობინება მეოთხე

განვახლდეთ დღითი დღე აღდგომის სიცოცხლის ახალი შეწევნის მეშვეობით, რათა ჩავანაცვლოთ ჩვენი კულტურა და გავხდეთ ერთი ახალი კაცი სინამდვილეში, გავხდეთ ისეთივე ახალი, როგორიც ახალი იერუსალიმი

ადგილები წერილიდან: 2 კორ. 4:16; ეფეს. 2:15; 4:22-24; კოლ. 3:10-11

I. **ეფეს. 4:22-ში ნათქვამია: „...მოიშოროთ (რაც დაკავშირებულია თქვენს ადრინდელ ცხოვრების წესთან) ძველი კაცი“:**

ა. ძველ კაცში იგულისხმება ჩვენი ბუნებრივი ცხოვრება ჩვენს სამშვინველში; ძველი კაცი არის თვით ჩვენი არსება, რომელიც შექმნა ღმერთმა, მაგრამ ის გახდა დაცემული ცოდვის გამო – რომ. 6:6:

1. ძველი კაცი იმ ყველაფერთან ერთად, რასაც ის მოიცავს, აზიანებს ეკლესიურ ცხოვრებას; სადაც არის ძველი კაცი, ვერ იქნება ეკლესია; ეს ნიშნავს, რომ ყველაფერი, რასაც ჩვენ წარმოვადგენთ, რაც ჩვენ გვაქვს და რასაც ჩვენ ვაკეთებთ, ეკლესიურ ცხოვრებას ხდის რაღაც განუხორციელებელს.
2. თუ ჩვენ გავაგრძელებთ ცხოვრებას ძველი კაცის თანახმად, ეკლესიური ცხოვრება სერიოზულად დაზიანდება, უფრო მეტიც, მას ბოლო მოეღება; თუ ჩვენ მოვიშორებთ ძველ კაცს თავისი ადრინდელი ცხოვრების წესით, ჩვენ გვექნება შესანიშნავი ეკლესიური ცხოვრება – ეკლესიური ცხოვრება, რომელიც იქნება ახალი იერუსალიმის მინიატურა; ასეთ ეკლესიურ ცხოვრებაში ვერ იქნება დაყოფები.

ბ. სიტყვებში „ცხოვრების წესი“ იგულისხმება ძალიან ბევრი რამ; მსოფლიოს ყველა ქვეყანაში ყველა ხალხს აქვს მისთვის დამახასიათებელი ცხოვრების წესი:

1. ადრინდელი ცხოვრების წესი მოიცავს ყველაფერს, რაც დაკავშირებულია ჩვენთან; ჩვენ უნდა მოვიშოროთ ყველაფერი, რასაც წარმოვადგენთ, ყველაფერი, რასაც ვაკეთებთ, და ყველაფერი, რაც გვაქვს; ჩვენ უნდა მოვიშოროთ თვით ჩვენი ცხოვრების ნირი და ჩვენი კულტურა; რაც უფრო ძლიერია ჩვენი კულტურა, უფრო კრიტიკულად ვართ განწყობილი სხვების მიმართ – შდრ. ეფეს. 4:31-32; კოლ. 3:12-14.
2. თუ ჩვენ ნამდვილად გვინდა, რომ განვახლდეთ, უნდა მოვიშოროთ ჩვენი ადრინდელი ცხოვრების წესი, რომელიც მოიცავს ჩვენი ცხოვრების ნირსა და ჩვენს კულტურას; ახალ კაცში ვერ იარსებებს ბერძენი და იუდეველი, ბარბაროსი და სკვითი, მონა და

თავისუფალი, ვინაიდან ადრინდელი ცხოვრების წესი, რომელიც ჰქონდათ ამ ადამიანებს, გვერდზეა გადადებული.

3. როდესაც ვუბრუნდებით ძველი ცხოვრების წესს, ჩვენ მაშინვე ვგრძნობთ, რომ დანაღვლიანებული ვართ შინაგანად და გაუცხოებული ვართ ღმერთის სიცოცხლისაგან – ეფეს. 4:17-19.
4. იმისათვის, რომ განახორციელონ ეკლესიური ცხოვრება, ადამიანებმა სხვადასხვა კულტურიდან და ქვეყნიდან უნდა მოიშორონ ძველი კაცი, რომელიც განსხეულებულია მათ ადრინდელ ცხოვრების წესში; ეკლესიურ ცხოვრებაში ადგილი არის მხოლოდ ქრისტესთვის – კოლ. 3:10-11.
5. რა სამწუხაროა, როდესაც ვხედავთ ეგრეთ წოდებულ „ეკლესიებს“, რომლებიც ნაციონალურობის თანახმად არიან წარმოქმნილი; ჩვენთვის ძვირფასი კი არ უნდა იყოს ჩვენი მემკვიდრეობა, არამედ უარი უნდა ვთქვათ მასზე; ჩვენ ავტომატურად ვანიჭებთ უპირატესობას ჩვენს ძველ საზოგადოებრივ ცხოვრებას, მაგრამ ჩვენი ცხოვრების წესი უნდა გახდეს აბსოლუტურად ახალი, ბუნების, ნირისა და პრაქტიკის თვალსაზრისით.

II. ვინაიდან ახალი კაცი ეფეს. 2:15-16-ში არის ერთობლივი კაცი, ახალი კაცი 4:24-ში ასევე უნდა იყოს ერთობლივი; ეფეს. 4:24-ში ნათქვამის თანახმად, ჩვენ უნდა შევიმოსოთ იმ ახალი კაცით, რომელიც უკვე შექმნილია ქრისტეში:

ა. ნათლობისას ჩვენ მოვიშორეთ ძველი კაცი, რომელიც ჯვარცმულია ქრისტესთან ერთად და დამარხულია; და ასევე ნათლობისას ჩვენ შევიმოსეთ ახალი კაცით – მუხ. 22-24; რომ. 6:6, 4.

ბ. ის, რომ ჩვენ მოვიშორეთ ძველი კაცი და შევიმოსეთ ახალი კაცით, არის აღსრულებული ფაქტები; ახლა ჩვენ უნდა განვიცადოთ ეს ფაქტები და უნდა მოვიპოვოთ მათი სინამდვილე, ჩვენი გონების სულში განახლების მეშვეობით – ეფეს. 4:23:

1. ძველი კაცის მოშორება ნიშნავს საკუთარ ძველ „მეზე“ უარის თქმას და მის უარყოფას, საკუთარი „მეს“ მიმართ ჯვრის გამოყენების მეშვეობით – მუხ. 22; მათე 16:24.
2. ახალი კაცით შემოსვა ნიშნავს, რომ ვიცხოვროთ და განვადიდოთ ქრისტე, იესო ქრისტეს სულის უხვი შეწევნის მეშვეობით (ფილიპ. 1:19-21ა); ამით ჩვენ ვიყენებთ იმას, რაც აღასრულა ქრისტემ ახალი კაცის შექმნისას (ეფეს. 2:15; 4:24).

გ. ჩვენი სული, შერწყმული ღმერთის სულთან, უნდა გახდეს ჩვენი გონების სული (მუხ. 23); მაშინ მთელი ჩვენი ცხოვრება იქნება სულის მეშვეობით ცხოვრება და ყველაფერი, რასაც ჩვენ გავაკეთებთ, იქნება სულის თანახმად; როდესაც ვახლდებით ამ სულის წყალობით, ჩვენ ვიმოსებით ახალი კაცით.

დ. ჩვენ უნდა ვიაროთ შერწყმული სულის თანახმად, რომელიც ვრცელდება ჩვენს გონებაში და ავსებს მას; მაშინ ახალი კაცის ყოველდღიური სვლა იქნება სვლა გონების სულში; ეს არის ეკლესიური ცხოვრების საიდუმლო – მუხ. 23.

ე. ახალი კაცი არის ჩვენს სულში; იმისათვის, რომ შევიმოსოთ ახალი კაცით, საჭიროა, რომ ჩვენი სული (ღმერთ სულთან შერწყმული),

რომელშიც არის ღმერთი, ღმერთის საცხოვრებელი და ახალი კაცი, გახდეს ჩვენი გონების სული – 2:22; 4:23:

1. ის, რომ სული ხდება ჩვენი გონების სული, ნიშნავს, რომ სული წარმართავს ჩვენს გონებას, მართავს მას, იმორჩილებს მას, ბატონობს მასზე და ეუფლება მას (შდრ. 1 კორ. 2:15-16; 2 კორ. 2:13; 10:4-5). როდესაც სული წარმართავს ჩვენს გონებას, მთელი ჩვენი არსება არის ჩვენი სულის მმართველობის ქვეშ.
2. ის, თუ რამდენად ვიმოსებით ახალი კაცით, დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად წარმართავს ჩვენი სული ჩვენს არსებას (1 კორ. 2:15); როდესაც ჩვენი სული გვიმორჩილებს ჩვენ და წარგვმართავს ჩვენ, კულტურისათვის, მოსაზრებისა და დადგენილებებისათვის არ რჩება ადგილი; ჩვენ უკვე ვეღარაფერს ვერ ვაკეთებთ ჩვენებურად, ვინაიდან ახლა უკვე ჩვენი სული იმორჩილებს მთელ ჩვენს არსებას, მართავს მას, ხელმძღვანელობს მას და წარმართავს მას.
3. რაც უფრო მეტად მსჭვალავს შერწყმული სული ჩვენს გონებას, ჟღენთს მას და ეუფლება მას, უფრო მეტად ვაძლევთ ჩვენ შესაძლებლობას ქრისტეს გონებას, რომ გახდეს ჩვენი გონება – ფილიპ. 2:5; 1 კორ. 2:16; რომ. 12:2.

ვ. როდესაც ჩვენ ვირწმუნეთ უფალი იესო, მაცოცხლებელი სული შემოვიდა ჩვენს სულში, და მოიტანა თავისთან ერთად ახალი კაცი, როგორც დასრულებული ქმნილება; ახლა ახალმა კაცმა უნდა გაჟღინთოს ჩვენი არსების ყველა ნაწილი და უნდა გავრცელდეს მათში; ეს გავრცელება ერთდროულად არის ახალი კაცით შემოსვაც და განახლებაც.

ზ. ჩვენ უნდა ვიცხოვროთ არა გონების ამაოებით, არამედ გონების სულის თანახმად; ეს არის ერთობლივი ახალი კაცის ყოველდღიური ცხოვრების გასაღები, ეკლესიური ცხოვრების განხორციელების საიდუმლო, რომელიც სავსეა ღმერთის ხასიათით, ქრისტეს არომატით და სულის ერთობით – ეფეს. 4:3-4, 17-18, 23-24.

თ. იმის წყალობით, რომ ჩვენ დღითი დღე გვიყვარს უფალი და ვავარჯიშებთ ჩვენს სულს ლოცვასა და ღმერთის სიტყვის კითხვაში, ჩვენი გონება ივსება შერწყმული სულით; ეს ცვლის და აახლებს ჩვენს გონებას; იმისათვის, რომ განვახლდეთ ჩვენს გონებაში, ჩვენ უნდა გავთავისუფლდეთ ყველა ძველი წარმოდგენისაგან იმის შესახებ, რაც დაკავშირებულია ადამიანურ ცხოვრებასთან, და უნდა განვიცადოთ განახლება წმიდა წერილების სწავლებებისა და წმიდა სულის მიერ გაცისკროვნების მეშვეობით – ფსალ. 119:105, 130; 2 ტიმ. 3:15-17; რჯლ. 17:18-20.

ი. ამ საუკუნეში ღმერთის ჩანაფიქრის შესრულება, იმისათვის, რომ წარმოიქმნას ერთი ახალი კაცი სინამდვილეში, შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ჩვენ მზად ვიქნებით, რომ განვახლდეთ ჩვენი გონების სულში.

III. ცენტრალური მომენტი პავლეს სიტყვაში კოლასელთა მიმართ დაკავშირებლია გონების განახლებასთან და ქრისტეს სრულ შეცნობასთან, რომელიც არის ღმერთის სახება; ახალი კაცი შეიქმნა ჩვენს სულში და

ახლდება ჩვენს გონებაში სრული შეცნობისათვის ქრისტეს სახების თანახმად – ეფეს. 2:15; კოლ. 3:10-11:

ა. ვინაიდან ახალი კაცი შეიქმნა ჩვენგან, მათგან, ვინც მიეკუთვნება ძველ ქმნილებას, ის უნდა განახლდეს; ეს განახლება ხდება ძირითადად ჩვენს გონებაში, რაზეც მიუთითებს გამოთქმა „სრული შეცნობისათვის“ – მუხ. 10.

ბ. ახალი კაცის შექმნა ღმერთის თანახმად, უკვე დასრულებულია, მაგრამ ჩვენს განცდაში ახალი კაცი თანდათან ახლდება სრული შეცნობისათვის; რაც უფრო მეტად ვიმოსებით ახალი კაცით, უფრო მეტად ვახლდებით იმის თანახმად, რასაც წარმოადგენს ღმერთი, და უფრო მეტად ვხდებით ღმერთის სახება, იმის გამოხატულება, რასაც წარმოადგენს ღმერთი – მუხ. 10.

გ. იმისათვის, რომ განვახლდეთ, საჭიროა, რომ მთელ ჩვენს არსებას დაემატოს ღმერთის ელემენტი, იმ მიზნით, რომ ჩაანაცვლოს და გამოდევნოს ჩვენგან ჩვენი ძველი ელემენტი – გამოცხ. 21:5ა; 2 კორ. 5:17; რომ. 12:2; 2 კორ. 4:16:

1. ჩვენი ბუნებრივი და ნაციონალური აზროვნება განსწავლულია და ჩამოყალიბებულია ჩვენი რასობრივი და კულტურული სფეროს შესაბამისად; ეს არის უდიდესი დაბრკოლება ახალი კაცის პრაქტიკული არსებობისათვის.
2. იმისათვის, რომ ერთმა ახალმა კაცმა სრულყოფილად იარსებოს, ჩვენ უნდა განვიცადოთ საფუძვლიანი განახლება ჩვენი გონებისა, რომელიც ჩამოყალიბებულია ჩვენი ნაციონალურობისა და კულტურის თანახმად.

დ. სიახლე არის ღმერთი, ამიტომ, გავხდეთ ახალი, ნიშნავს, რომ გავხდეთ ღმერთი სიცოცხლისა და ბუნების თანახმად, მაგრამ არა ღვთაებაში:

1. ღმერთი მარადიულად ახალია, და ის ღვრის ჩვენს არსებაში თავის მარადიულად ახალ არსს, იმის მეშვეობით, რომ აახლებს მთელ ჩვენს არსებას – რომ. 12:2; კოლ. 3:10.
2. ღმერთის სული გვაახლებს ჩვენ, ავსებს ჩვენს შინაგან ნაწილებს ღმერთის თვისებებით, რომლებიც არის ყოველთვის ახალი, არასოდეს არ ძველდება და არის მარადიული და უცვლელი – გამოცხ. 21:5ა.
3. განმაახლებელი სული ნერგავს ახალი კაცის ღვთაებრივ არსს ჩვენს არსებაში და გვხდის ჩვენ ახალ ქმნილებად, ახალ კაცად – ტიტ. 3:5; 2 კორ. 5:17; გალ. 6:15.

IV. ჩვენ უნდა ვიყოთ ისინი, ვინც ახლდება დღითი დღე, აღდგომის სიცოცხლის ახალი შეწევნის მეშვეობით, რათა ჩავანაცვლოთ ჩვენი კულტურა და გავხდეთ ერთი ახალი კაცი სინამდვილეში, გავხდეთ ისეთივე ახალი, როგორიც ახალი იერუსალიმი – 2 კორ. 4:16:

ა. ახალი კაცით შემოსვა არ ხდება ერთხელ და სამუდამოდ; პირიქით, ის გრძელდება მთელი ცხოვრება, ეს არის თანდათანობითი პროცესი, რომელიც მიმდინარეობს მთელი ჩვენი ქრისტიანული ცხოვრების განმავლობაში.

ბ. ჩვენ, ხელახლა შობილმა ადამიანებმა, როგორც ახალი კაცის ნაწილებმა, უნდა ვიაროთ ღვთაებრივი სიცოცხლის სიახლეში აღდგომაში და უნდა ვიმსახუროთ სულის სიახლეში – რომ. 6:4; 7:6.

გ. მორწმუნეები უნდა განახლდნენ, რათა იყვნენ ისეთივე ახლები, როგორიც არის ახალი იერუსალიმი, ვინაიდან ისინი ყველანი ხდებიან ახალი იერუსალიმი, როდესაც დადიან სიცოცხლის სიახლეში (6:4), და აშენებენ ახალ იერუსალიმს, როდესაც მსახურობენ სულის სიახლეში (7:6).

დ. ჩვენ ვახლდებით ჩვენი გონების სულში იმ მიზნით, რომ ყოველდღიურად გარდავისახოთ ქრისტეს სახებად, ჩვენი ძველი კაცის დამსხვრევის მეშვეობით, ჩვენს გარემოცვაში ტანჯვების შედეგად, რათა განახლდეს ჩვენი შინაგანი კაცი – 2 კორ. 4:16:

1. როდესაც ვიტანჯებით, ჩვენ უნდა განვახლდეთ; წინააღმდეგ შემთხვევაში ტანჯვებს, რომლებსაც ჩვენ გავდივართ, არანაირი აზრი არ ექნება ჩვენთვის; ჩვენში არის თავშესაფარი – ჩვენი სული – ფსალ. 91:1; 27:5; 31:20; გამ. 32:2; 2 ტიმ. 4;22; გალ. 6:17-18.
2. ღმერთი აწყობს ჩვენს გარემოცვას, რათა თანდათანობით და დღითი დღე ჩვენს გარეგან კაცს ბოლო მოეღოს, ხოლო ჩვენი შინაგანი კაცი განახლდეს პნევმატური ქრისტეს, როგორც აღდგომის სიცოცხლის, ახალი შეწევნის მეშვეობით – 2 კორ. 4:16.

ე. იმისათვის, რომ განვახლდეთ დღითი დღე, ჩვენ გვჭირდება გამოცოცხლება ყოველ დილით – მათე 13:43; ლუკა 1:78-79; იგავ. 4:18; მსაჯ. 5:31; 2 კორ. 4:16.

ვ. ყოველდღიურად განახლების შესაძლებლობას ჩვენ გვაძლევს ოთხი რამ: ჯვარი (მუხ. 10-12, 16-18), წმიდა სული, რომლის მეშვეობითაც ჩვენ ვექვემდებარებით გარდაქმნას, გადაკეთებასა და ხელახლა გამოჭრას, ღვთაებრივი სიცოცხლის მეშვეობით (ტიტ. 3:5), ჩვენი შერწყმული სული (ეფეს. 4:23) და ღმერთის წმიდა სიტყვა (5:26).

ზ. ჩვენ უნდა მივიდეთ უფლის ტრაპეზზე სიახლეში (მათე 26:29); უფალი არასოდეს არ მიიღებს ძველ ტრაპეზს; ჩვენ უნდა განვახლდეთ, და უნდა ვისწავლოთ ამის თქმა: „ბოდიშს გიხდით, მაპატიეთ“.

V. ახალი კაცის განახლება დამოკიდებულია ჩვენ მიერ იმის ძებნაზე, რაც ზემოთაა – კოლ. 3:1-2; ეფეს. 2:5-6:

ა. ვეძებოთ ის, რაც ზემოთაა, ნიშნავს, რომ გამოვეხმაუროთ ქრისტეს საქმიანობას მის ზეციურ მსახურებაში და ავირეკლოთ ის – ებრ. 2:17; 4:14; 7:26; 8:1-2; გამოცხ. 5:6; კოლ. 3:1-2:

1. ზეცაში მყოფი ქრისტესაგან ხდება გადაცემა ჩვენზე, დედამიწაზე მყოფებზე, ყოვლისმომცველი სულის მეშვეობით ჩვენს სულში – ეფეს. 1:19, 22-23; 2:22:
   ა) ჩვენი სული არის ღვთაებრივი გადაცემის მიმღების ბოლო, ხოლო ღმერთის ტახტი ზეცაში არის გადმომცემი ბოლო – გამოცხ. 5:6.
   ბ) როდესაც ჩვენ ვბრუნდებით ჩვენი სულისკენ, ჩვენ ავდივართ ზეცაში; ზეცაში არსებული ღმერთის ტახტიდან ჩვენს სულში გადაცემის წყალობით, როდესაც ჩვენ განვიცდით ქრისტეს და

ვტკბებით მისით აქ, დედამიწაზე, ჩვენ იმავდროულად ვიმყოფებით ზეცაში – 4:1-2.

2. თავის ზეციურ მსახურებაში ქრისტე მწყემსავს ადამიანებს, და ჩვენ უნდა ვითანამშრომლოთ მასთან, და უნდა დავმწყემსოთ ადამიანები; თუ ჩვენ მივიღებთ ამ ურთიერთობას, დედამიწაზე მოხდება დიდი გამოცოცხლება, რომელიც დააბრუნებს უფალს – 1 პეტ. 5:1-4; შდრ. მათე 9:36; 10:1-6; იოანე 21:15-17; 1 პეტ. 2:25; ებრ. 13:20.

ბ. თუ ჩვენ შევბრუნდებით ზეციური ქრისტესაკენ და მთელი მისი საქმიანობისაკენ, და ამისკენ მივაბრუნებთ ჩვენს გონებას, ახალი კაცის განახლება მოხდება თავისთავად – 8:1-2; 12:2; კოლ. 3;2.

გ. ეს დაასრულებს ღმერთის განზრახვას, რომლის თანახმადაც ღმერთმა მორწმუნეები გახადა ახალი კაცი, როგორც ახალი ქმნილება, რომელიც დასრულდება ახალ იერუსალიმში; ახალი კაცი, როგორც ღმერთის მიერ შექმნილი საუკეთესო ქმნილება, არის სრულიად ახალი რამ სამყაროში, ღმერთის ახალი გამოგონება – მუხ. 10-11; 2 კორ. 5:17; გალ. 6:15-17; ეფეს. 2:10, 15.

დ. ღმერთის მიზანი არის ის, რომ მიიღოს ერთი ახალი კაცი, რომელიც საბოლოოდ დასრულდება ახალ იერუსალიმში – ერთი ახალი კაცის საბოლოო დასრულებაში.

© 2020 Living Stream Ministry